საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/4021-18 "20" 12 2018 წ

შპს „სიგულდას"

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2018 წლის 27 დეკემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „სიგულდასთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ წინასაარჩევნო დებატების გადაცემის წესის დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2018 წლის 14 დეკემბრის N შ-10/6605-18 სამსახურებრივი ბარათი).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ როგორც დაინტერესებულ პირს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიას წარუდგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი: სამსახურებრივი ბარათი- 2 გვ.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი იოსებ ხარებავა

ბ-ნ პ. ბერიას

გთხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღძრათ საქმის წარმოება

კ. ბექაური
14.12.2018

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

...დიო-ვიზუალური მედია მომსახურების რეგულირების
...მენტის მთავარი სპეციალისტის კონსტანტინე ქორიძის

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი   ბ ა რ ა თ ი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის თანახმად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს.

გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი კანონმდებლობით დებატების პროგრამის ფორმატი არ არის განსაზღვრული, დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა სამაუწყებლო არხებზე განთავსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და გაანალიზებულ იქნა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობა სხვა და სხვა პროგრამებში. აღნიშნული შესწავლის საფუძველზე გამოირკვა, რომ შპს „სიგულდას“ ეთერში 2018 წლის 29 აგვისტოდან 28 ოქტომბრის ჩათვლით წინასაარჩევნო დებატები კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით არ განთავსებულა. ასევე, შპს „სიგულდას“ ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს შორის დებატები არ გამართულა.

კომისიამ 2018 წლის 07 ნოემბერს წერილობით მიმართა მაუწყებლებს (N04/3626-18) და მოითხოვა ინფორმაცია თუ რატომ არ გაიმართა წინასაარჩევნო დებატები ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით. აღნიშნულ წერილზე შპს „სიგულდასგან“ პასუხი არ მიგვიღია.

დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ადგილი აქვს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევას.

გთხოვთ, აღნიშნული სამსახურებრივი ბარათი რეაგირებისათვის გადაეცეს კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი: 1 გვ.

პატივისცემით,

კონსტანტინე ქორიძე
14.12.2018

J10/6605.18
14 12 18
1+1

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 04/3626-18 "07" 11 2018 წ

მაუწყებლებს

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, <u>წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით,</u> თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის დროს.

გაცნობებთ, რომ წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის ფარგლებში გამოირკვა რომ თქვენს არხზე წინასაარჩევნო დებატებში რიგ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს მონაწილეობა არ მიუღია.

გთხოვთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 3 სამუშაო დღის ვადაში კომისიაში წარმოადგინოთ თქვენი ახსნა-განმარტება. ამასთან, თუ თქვენს მიერ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები მოწვეულნი იყვნენ დებატების პროგრამაში და მათ უარი განაცხადეს გადაცემაში მონაწილეობაზე, გთხოვთ, წარმოადგინოთ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე კ. ზექაური